პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 104 (13786) | ხუთშაბათი, 4 მაისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი საამაყოდ ყველა კუთხეში ზეიმით და სისარულით აღნიშნეს პირველი მაისის დღესასწაული.

საბჭოთა ხალხმა კვლავ ცხადყო თავისი მონოლითური დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მტკიცე ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი.

მოსკოვი. მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე 1967 წლის 1 მაისს. („პრავდა").

საუბილეო წლის პირველი მაისი

პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

გაზაფხულის მზის სხივებთან ერთად მოვიდა მოსკოვში 1967 წლის 1 მაისი. წელს ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულს, მშრომელი ადამიანების ერთობის დღესასწაულს საბჭოთა ხალხი ეგებება ღირსშესანიშნავი იუბილეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის წინ.

ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1917 წელს რუსეთის პროლეტარიატმა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე პირველად აღნიშნა არა საიდუმლო შეკრებებზე — „მაისობებზე", არამედ აშკარად, ლოზუნგებითა და რევოლუციური სიმღერებით ჩაარა რუსეთის ქალაქების მთავარ ქუჩებში და მოედნებზე. ჯერ დიდი ოქტომბერი არ დამდგარა, მაგრამ მშრომელმა ხალხმა უკვე იცოდა, „რომელ ბანაკში უნდა ებრძოლა".

„ჩვენ ჩამოვაგდეთ მეფე, — წერდა 1917 წლის 1 მაისს „პრავდა", — ჩვენ მოვიპოვეთ პოლიტიკური თავისუფლება. მაგრამ კაპიტალის ბატონობა, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, დაჭირავებული მონობა დარჩა. პირველ მაისს ვიძლევით ფიცს დაუცხრომლად ვიბრძოლოთ, სანამ ბოლო არ მოეღება მთელ კაპიტალისტურ წყობილებას, ძალადობისა და ექსპლოატაციის ამ წყობილებას".

და ეს ნახევარი წლის შემდეგ ახდა, რუსეთში აფრიალდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წითელი დროშა, რომელმაც მსოფლიოს ამცნო, რომ დაიწყო კაცობრობის ისტორიის ახალი ერა — სოციალიზმის ერა.

...მზის სხივები საოცრად უხდება ჩვენი ქვეყნის თავვარი მოედნის — წითელი მოედნის სადღესასწაულო მორთულობას. სახელმწიფო უნივერმაღის ფასადზეა გიგანტური წითელი დროშა მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტებით. შენობის ფრონტონს ამშვენებს ლოზუნგი: „გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს!". ლოზუნგის ორივე მხარეს მხატვრული პანოები, რომლებიც სიმბოლურად მოგვითხრობენ, თუ როგორ ასრულებს საბჭოთა ხალხი სკკპ XXIII ყრილობის გადწყვეტილებებს. სახელმწიფო უნივერმაღთან ფრიალებს საბჭოების ქვეყნის თხუთმეტი რესპუბლიკის ალმები, ხოლო კრემლის უძველეს კედელს ამშვენებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო გერბები.

„გაუმარჯოს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისა და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ძმობის დღეს!", „გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!" — ამ ლოზუნგებს ეხმაურება მოედნის მთელი საზეიმო მორთულობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი მშვენივრად ეხამებიან აღფრთოვანებას, რომელიც ახლა მოედანზე სუფევს. მოედანზე მწყობრად დგანან ჯარები.

წითელ მოედანზე მოვიდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, თვალსაჩინო მხედართმთავრები.

პირველი მაისის დღესასწაულზე მოსკოვში ჩამოვიდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები, საზღვარგარეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. აქვე არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. კელუშ, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ი. ვ. კაბანოვი, ფ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი.

ზუსტად დილის 10 საათზე მაცხოვრის კოშკის ჭიშკრიდან ღია ავტომობილით გამოდის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, რომელიც პარადს იღებს.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა პატაკი ჩამოართვა პარადის სარდალს — მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველ მოადგილეს, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ე. ფ. ივანოვსკის. მოედანზე ისმის ერთსულოვანი მხედრული „ვაშა!" — მეომართა მწყობრი კოლონები უპასუხებენ მარშალს, რომელიც 1 მაისის დღესასწაულს ულოცავს მათ.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა ჩამოუარა ჯარებს, ავიდა ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე და წარმოთქვა სიტყვა.

ამხანაგ ა. ა. გრეჩკოს სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდგომებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენო პატივცემულო უცხოელო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელითა და დავალებით მოგეს სალმებით და მოგილოცავთ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს!

მომდინარე წელს პირველი მაისის საერთაშორისო დღესასწაული აღინიშნება ღირსსახსოვარ დროს. საბჭოთა ადამიანები ეგებებიან თვალსაჩინო ისტორიულ თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, მტკიცედ ახორციელებენ გრანდიოზულ გეგმებს, რომლებიც დასახა პარტიის XXIII ყრილობამ.

ჩვენს ქვეყანაში სწრაფი ტემპებით ვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და ტექნიკა, განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კულტურა და კეთილდღეობა. მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების ღონისძიებანი, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს, უკვე იძლევიან ნაყოფიერ შედეგებს და უზრუნველყოფენ საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

შემოქმედებითს შრომაში უდიდესი მიღწევებით ხვდებიან პირველი მაისის დღესასწაულს სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებიც. მტკიცდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა — ჩვენი ეპოქის მთავარი რევოლუციური ძალა.

კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს ემსახურება საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკა. ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ იბრძვის სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცებისათვის, ყოველნაირად უჭერს მხარს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

საბჭოთა კავშირი ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად განუხრელად იბრძვის ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის.

მაგრამ რეაქციული იმპერიალისტური წრეები ცდილობენ შეაჩერონ ისტორიის მსვლელობა, ხელი შეუშალონ საერთაშორისო ასპარეზზე ახალი ურთიერთობის დამკვიდრებას. მთავარი აგრესიული ძალაა ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური ბურჟუაზია. სწორედ მისი ანგარებითი მიზნებით წარმოებს დანაშაულებრივი ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, მწვავდება ვითარება მსოფლიოს სხვა რაიონებში.

ამერიკელი იმპერიალისტების დახმარებით სულ უფრო აქტიურად მოქმედებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტული ძალები. ისინი აშკარად მოითხოვენ ევროპის არსებული საზღვრების შეცვლას, ცდილობენ ხელთ იგდონ ატომური იარაღი.

იმპერიალისტთა აგრესიული მოქმედება ძლიერ სერიოზულად ართულებს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას. ეს დაბჯენითებით მოითხოვს მსოფლიოს მთელი რევოლუციური, პროგრესული ძალების ერთიანობას და, უწინარეს ყოვლისა, სოციალიზმის ქვეყნების ერთიანობას, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებას. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ვიეტნამში იმპერიალისტი აგრესორების ავანტიურა მნიშვნელოვნად უფრო სწრაფად ჩაიფუშება, თუ ყველა სოციალისტური ქვეყანა, მათ შორის ჩინეთი, ერთად იმოქმედებს მოძმე ვიეტნამელი ხალხისადმი დახმარებაში.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს ომის გამჩაღებელთა ასალაგმავად, აქტიურად და მრავალმხრივ დაეხმარება გმირ ვიეტნამელ ხალხს. საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების პირობებში ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, განმტკიცდეს მისი შეიარაღებული ძალები. პარტია და მთავრობა მუდამ ზრუნავენ არმიისა და ფლოტის ტექნიკური აღჭურვისათვის, იდეურად გამოწრთობილ, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგულ სამშობლოს დამცველთა აღზრდისათვის.

დიდი ოქტომბრით შობილი, კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები საიმედოდ იცავენ მშვიდობასა და ჩვენი ხალხის უშიშროებას. მოძმე სოციალისტური არმიების მეომრებთან საბრძოლო თანამეგობრობით ისინი ფხიზლად დგანან ოქტომბრის მონაპოვართა, სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი საქმის სადარაჯოზე.

(დასასრული მე-2 გვერდზე).



წითელი მოედანი. მოდის რაკეტები — საბჭოთა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი იარაღი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა დასვენების დღე — კვირიდან 1967 წლის 7 მაისიდან გადატანილ იქნას ორშაბათისათვის — 8 მაისისათვის.

საოქტომბრო ვასტფზე

მკერავებს სამი პრემია

ბათუმი (საკ. კორ.). ბათუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა მაღალხარისხოვან პროდუქციით შორს გაითქვა სახელი. ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხიდან არ ითხოვენ მის ნაწარმს.

ბათუმელ მკერავებს თავდადებული შრომა დაუფასებდათ. ამას წინათ ფაბრიკაში საზეიმო განწყობილება იყო. მკერავებს საერთო კრებაზე გადასცეს სამი პრემია. 13 ათასი მანეთი ფულადი პრემია დაიმსახურეს ბუთწლედის პირველ წელს დიდი რაოდენობით მაღალხარისხოვანი ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის. 6.300 მანეთი ფულადი პრემია მიიღეს 1966 წლის IV კვარტალში სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილის მოპოვებისათვის. ფაბრიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი დაჯილდოებული არიან მნიშვნელოვანი თანხით მექანიზმების უკეთესი ექსპლოატაციისათვის.

ბათუმელი მკერავები თავდადებით შრომობენ საიუბილეო წელსაც. პირველი კვარტალის გეგმა 27 მარტს შეასრულეს. გეგმის ზეგით გამოშვებულია 251 ათასი მანეთის პროდუქცია, ფაბრიკის კოლექტივი ახალი გამარჯვებებით შეეგება პირველ მაისს.

სამაისო ნოგათი

თბილისი. ქარხანა „გაზაპარატის" კოლექტივი შრომითი გამარჯვებებით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს. ქარხნის კოლექტივმა საიუბილეო წლისათვის გაზრდილი ვალდებულებები იკისრა და წარმატებით ანაღდებს მათ.

სამაისოდ ქარხნის კოლექტივმა სასიხარულო ცნობა მიიღო მოსკოვიდან; საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებისათვის მომდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგებით თბილისის ქარხანა „გაზაპარატის" კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროსა და ქიმიური და ნავთობმრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს მესამე პრემია.

ზეგეგმითი ტრიკოტაჟი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივმა გადაჭრებით შეასრულა როგორც საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, ისე რეალიზაციის პირველი კვარტალის ოცდაექვსე და მომმბარებელს 44 ათასი მანეთის ზეგეგმითი ტრიკოტაჟი მისცა.

წელს ფაბრიკაში დამატებით დადგეს ოცი ახალი ავტომატური საქსოვი დაზგა, რითაც ზედა ტრიკოტაჟის გამოშვება 25 პროცენტით გაიზარდა. ფეიერვერკმა 2.2 პროცენტით გადადგეს შრომის ნაყოფიერება, თვითღირებულების შემცირებით დამატებით გასწიეს 6 ათასი მანეთის ეკონომია, ხოლო პირველი ხარისხის ნაწარმის გამოშვება გათვალისწინებულთან შედარებით 3,2 პროცენტით გაზარდეს.

დავალებებს 108-110 პროცენტით ანაღდებენ და ვახტზე კვლავ პირველობენ სექსოვი და სამკერვალო საამქროები, რომლებსაც რ. იმედაძე და დ. მხეიძე უძღვებიან.

მეტი საქაღალდე მერქანი სამშობლოს

ზალენჯიხა. (საკ. კორ.). ზუგდიდის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატს ნედლეულით ძირითადად აძარაგებს ზალენჯიხის ხე-ტყის დაცურების კანტორა, რომლის გამართულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული ქართული ქაღალდის გამოშვების გეგმების შესრულება.

საიუბილეო წელს განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს ხე-ტყის დაცურების კანტორის კოლექტივი (უფროსი ნ. ადაკიძე), რომელმაც პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

საიუბილეო ვახტზე წარმატებები მოიპოვეს ჭალადიდის ხე-ტყის დამზადების უბანმა (უფროსი ნ. გაბისონია), რეჩხის, ბარხის, ხოკის, ქარიატისა და ჭურიის ხე-ტყის დამზადების საასტატოებმა.

დაცურების კანტორის მუშაკთა ახალი ვალდებულებაა საიუბილეო დღისათვის — 7 ნოემბრისათვის სამშობლოს უპატაკონ წლიური გეგმის შესრულება.

საიუბილეო წლის პირველი მაისი

(დასასრული)

გაუმარჯოს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას!

უძველესი კრემლის ეზოდან გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები. მძლავრად ისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

იწყება ჯარების საზეიმო სვლა.

გამარჯვების მარშს უკრავს ნორჩ მედოლეთა ასეული, რომელიც იწყებს პარადს. გაშლილი საბრძოლო დროშებით მოპკუჭვნიან მედოლეებს სამხედრო აკადემიებისა და სასწავლებლების ბატალიონები. სამხედრო აკადემიებისა და სასწავლებლების კურსანტთა ერთეულნი ვეტერანთა ღირსეული ცვლაა. ვინ იცის, იქნებ რომელიმე მათგანს, ვინც ახლა მტრინავთა მწყობრში მოდის, ხვალ წილად ხვდეს პატივი პირველი გაფრინდეს მთვარეზე თუ სხვა პლანეტებზე.

მოდიან ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის დივიზიის მეომრები და, როგორც ყოველთვის, ტრიბუნებზე გამოცოცხლებულა, როცა მოედანზე შემოდიან მოსკოვისა და კალინინის სუეოროვის სასწავლებელთა, ნორჩ ნახიმოველთა კოლონები. ესენი არიან ჩვენი შეიარაღებული ძალების მომავალი, მათი ხვალინდელი დღე.

მოედანზე შემოდის საბრძოლო ტექნიკა. ჯავშანტრანსპორტიორებით მოდიან მ. ი. კალინინის სახელობის ტამანის გვარდიული მოტომსროლელი დივიზიის მეომრები. თითქმის არ ისმის იმ ავტომანქანების ხმა, რომლებზეც თეთრად ელავს საჰაერო-სადესანტო ჯარების — „ფრთოსანი ქვეითი ჯარის“ ემბლემა. მედესანტეები შეიარაღებული არიან მძლავრი ტურბოხრახნიანი სატრანსპორტო თვითმფრინავებითა და სხვადასხვა საბრძოლო ტექნიკით, რომელიც საშუალებას აძლევთ დიდი სტრატეგიული ამოცანები გადაწყვიტონ თანამედროვე ომში.

მოტორების მძლავრი გუგუნით მოედანზე მწყობრად გამოდიან კანტემიროვკის გვარდიული სატანკო დივიზიის საბრძოლო მანქანები — პარადის ტრადიციული მონაწილენი.

ტანკების შემდეგ მოდის არტილერია — სხვადასხვა კალიბრის შორსმსროლელი ზარბაზნები, დიდი სიმძლავრის ქვემეხები.

მერკეტეთა სვლა იწყება საზენიტო ტექნიკის დემონსტრაციით. ასეთი ტექნიკით შეიარაღებული საჰაერო დაცვის ნაწილებს და შინაერთებს შეუძლიათ გაანადგურონ მოწინააღმდეგის ყოველი თანამედროვე საფრენი აპარატი, რა სიმაღლეზეც უნდა იყოს და რა სიჩქარითაც უნდა მოჰქროდეს.

მოედანზე შემოდიან საწევრები, რომლებსაც ტაქტიკური რაკეტები მოჰქვთ. ხრაფი, მანევრუნარიანი, მძლავრი რაკეტები სახმელეთო ჯარების ძირითადი საცეცხლე ძალა გახდა. შემდეგ მოდის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების კოლონა — უფრო მრისხანე იარაღი.

საწევრებს მოაქვთ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის წყალქვეშა ნავებს ბალისტიკური რაკეტები. ჩვენი ფლოტის მთავარი ძალაა ატომური წყალქვეშა რაკეტმზიდები. ატომური წყალქვეშა ნავები შეზღუდული არ არიან მანძილით და შეუძლიათ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ მოწინააღმდეგის ობიექტებს, ათასობით კილომეტრითაც რომ იყოს მათგან დაშორებულნი.

სამხედრო პარადს ამთავრებენ სტრატეგიული დანიშნულების რაკეტული ჯარების ქვეგანყოფები. რაკეტული ჯარები ატომურ რაკეტულ წყალქვეშა ნავებთან ერთად ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერების საფუძველი, აგრესორის შეკავ[illegible] და ომში მისი დამარცხების მთავარი საშუალებაა.

თვითმავალი გასაშვები დანადგარებით მოდიან საშუალო სიშორის რაკეტები. ასეთი მოძრავი სტარტები მსოფლიოში არც ერთ არმიას არა აქვს. ეს რაკეტები გამოირჩევიან დიდი მანევრუნარიანობით, ისინი განუწყვეტლივ იცვლიან საცეცხლე პოზიციებს და ამავე დროს ყოველთვის მზად არიან დაუყოვნებლივი მოქმედებისათვის.

სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რაკეტებს შორის, რომლებიც ნაჩვენები იყო სამაისო პარადზე, ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები. ტრიბუნებს ჩაუარეს მყარსათბობიანმა რაკეტებმა. მათი გაშვება შეიძლება მინიმალურ ვადაში მახტის, ოვითმავალი და სხვა სტარტებიდან.

კოლონის დასასრულს მოდიან გლობალური რაკეტები, რომელთათვის არ არსებობს ფრენის სიშორის საზღვარი და რომლებსაც შეუძლიათ მოწინააღმდეგეს „მისწვდნენ“ დედამიწის ყოველ წერტილში.

ლენინის პარტიის მიერ შექმნილი და აღზრდილი რაკეტული ჯარები ყოველთვის გამზადებული არიან საბრძოლველად და შეუძლიათ საიმედოდ დაიცვან ჩვენი სამშობლოსა და მთელი სოციალისტური ბანაკის ინტერესები იმპერიალიზმის მიერ ხელყოფისაგან.

სამხედრო პარადი დამთავრდა. მოედანზე ჩაიარა ათასსაუკუნიანმა სამხედრო ორკესტრმა.

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ აწკრიალდა ფანფარები და მოედანზე შემოვიდა დემონსტრაციის პირველი კოლონა — ფიზკულტურელთა მწყობრი რიგები.

...მოედანზე მოცურავს დედამიწის მაკეტი, რომელსაც შემოხვეული აქვს ლენტი. ლენტზე მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ენებზე წარწერილია მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. მოედანზე მოაქვთ „პრავდის“ უზარმაზარი ფურცელი, რომელზეც წერია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ. გაზეთის გვერდს მიწერილი აქვს მოწოდება: „ვუპასუხოთ საქმით!“. „ღირსეულად შევხვდეთ საიუბილეო წელს“—ესმაურება მას მეორე ტრანსპარანტი. „პარტიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება“ — ამ თემას მიეძღვნა პანო, რომელზეც ხატია მწვანე მინდორი და ტრაქტორებით მომუშავე მიწათმოქმედნი. საიუბილეო წელს მხვნელ-მფესველები ძალლონეს არ დაიშურებენ, რათა შარშანდელივით მოიყვანონ უმაგალითოდ უხვი მოსავალი.

...ისმის „ბუდიონის მარში“. მოედანზე ჯირითით შემოდის ახი ცხენოსანი სპორტსმენი. სპორტის ოსტატები უჩვენებენ ცხენოსნობის უმაღლეს კლასს.

დილის ხმაზე სახელმწიფო უნივერმაღიდან მავზოლეუმის ვერცხლისფერ ნაძვისხეებამდე გაიფანტნენ ათასფერ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგობიჭები. ბავშვები შეცვალეს ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა სპორტსმენებმა.

მოედანზე მჭუხარე ტაში გაისმის. სახელმწიფო უნივერმაღის მხრიდან მოდის ექვსასი სპორტსმენი, რომლებსაც ლაბადა-კარვები აქვთ მოსხმული და პილოტურები ახურავთ, მხარზე შეუსვამთ ბავშვები, რომელთაც ხელში აყვავებული რტოები უჭირავთ. საბჭოთა მეომარი განმათავისუფლებლის ეს მრავალგზის განმეორებული ფიგურა ფაშიზმზე ჩვენი ხალხის გამარჯვების სიმბოლოა.

გუგუნებს „ვაშა!“. მარშ-პარადის ათასობით მონაწილე ერთხმად გაიძახის: „ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს დიდება! დიდება! დიდება!“ და ბავშვები გარბიან მავზოლეუმის ტრიბუნებისკენ, რათა ყვავილები გადასცენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

მოედანზე ისევ შემოდიან ავტომანქანები, რომლებზეც დამაგრებულია ფერადოვანი პანოები და მოწოდებები „ღირსეულად შევხვდეთ დიად იუბილეს“. საპირველმაისო კოლონებად მოდის მშრომელი მოსკოვი.

...მოდიან ავტოქარხნელები — საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეს აღსანიშნავი შეჯიბრების ინიციატორები, მოდიან დედაქალაქის მეორე საავტომობილო ქარხნის — მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხნის მუშები, „წითელი პროლეტარის“ ჩარხმშენებლები, ორჯონიკიძის სახელობისა და საკოორდინატოშიგსაჩარხი ჩარხების ქარხნების მუშები.

საპირველმაისო დემონსტრაციაზე გამოსული თითქმის ყველა ქარხნის კოლონის გაფორმების თემაა სამეურნეო რეფორმა. წინა კვარტალში ახალი ეკონომიური სისტემით მოსკოვში მუშაობდა 198 საწარმოო კოლექტივი. საიუბილეო წლის დამლევამდე მათ შეუერთდება კიდევ 375 ქარხანა და ფაბრიკა.

სადღესასწაულო კოლონაში მოდის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივი. განვლილ ორმოცდაათ წელიწადში საბჭოთა მეცნიერებამ მართლაც რომ გიგანტური წარმატებანი მოიპოვა.

საბჭოთა ადამიანებმა მხურვალედ მოიწონეს ევროპის უშიშროებისადმი მიძღვნილი ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის დოკუმენტები. „ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის!“, „განვამტკიცოთ საბრძოლო სოლიდარობა მებრძოლ ვიეტნამთან!“ — დემონსტრანტებს მაღლა აუწევიათ ტრანსპარანტები, რომლებზეც ეს ლოზუნგებია წარწერილი. მოსკოველები მტკიცე პროტესტს აცხადებენ მასობრივი რეპრესიებისა და დემოკრატია და პატრიოტთა დევნის წინააღმდეგ საბერძნეთში. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს მოსკოველები მოითხოვენ: „გაეცალეთ ვიეტნამს!“, „თავისუფლება ჩაგრულ ხალხებს“, „გაათავისუფლეთ ბერძენი პატრიოტები!“.

მოსკოვის ინდუსტრია სასახლო მოხმარების საქონლის ერთ-ერთი დიდი მიმწოდებელია. წითელ მოედანზე ჩაიარეს ფეიქართა კოლექტივებმა. მოდიან კულტურის მუშაკთა მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლები — თეატრებისა და კინოს მსახიობები, ბიბლიოთეკების თანამშრომლები, წიგნის გამოცემის სპეციალისტები. დედაქალაქის თეატრალური კოლექტივები თავიანთ საუკეთესო სპექტაკლებს ამზადებენ ოქტომბრის სახელოვანი 50 წლისთავისათვის. საბჭოთა ხელოსნებს იუბილეს უძღვნიან თავიანთ ნაწარმოებებს კინემატოგრაფისტები, კომპოზიტორები, მწერლები, მხატვრები. რამდენიმე დღის წინათ ხალხმა მათ შორის საუკეთესოებს ლენინური პრემიები მიანიჭა.

წითელ მოედანზე გამოდიან მშენებლები — დედაქალაქის მუშათა კლასის ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმი. სოციალისტურად ორგანიზაციათა მემონტაჟეებთან ერთად ისინი დღითი დღე ამშენებენ და სულ უფრო კეთილმოწყობილს ხდიან მოსკოვს. წელს თითქმის ნახევარი მილიონი მოსკოველი მიიღებს ბინებს ახალ სახლებში. დედაქალაქს დაამშენებს ახალი თანამედროვე საზოგადოებრივი შენობები.

პირველი მაისის წინადღეს ოსტანკინოს სატელევიზიო კოშკის მშენებლებმა, რომლებიც ახლა კოლონებში მოდიან, დადგეს ანტენის უკანასკნელი რგოლი. ახლა მოსკოვის კოშკი ჩვენი პლანეტის ყველაზე მაღალი ნაგებობაა. და დღეს პირველი მაისის ნათელი დღესასწაულის დღეს კოშკზე ფრიალებს ალამი, რომელზეც ვლადიმერ ილიაძე ლენინის პორტრეტია. მაღლა ფრიალებს ალამი ქვეყნისა, რომელიც ემზადება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

წითელ მოედნიდან რეპორტაჟს აწარმოებდნენ საკავშირო კორესპონდენტები: ვ. ბელიაევი, გ. კუდრიავცევა, ა. მედვედევი, ს. ფროლკინი, ა. ფაკოვალოვი.

1967 წლის 1 მაისის დღესასწაული მოსკოვში. **სურათებზე:** ზემოთ — მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია წითელ მოედანზე. ქვემოთ — მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადი. რაკეტული ტექნიკა პარადზე.

ფოტო ა. კონკოვისა და ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ზეიმოს საბჭოთა ქვეყანა

• ყლევანდელი პირველი მაისი სიბეჯითის ქვეყანაში განსაკუთრებული. იგი თითქოს აჯამებს ყველა წინა პირველ მაისს — 50 თავისუფალ პირველ მაისს.

ათასობით დროშამ ჩაიარა **ლენინგრადის** ისტორიული სასახლის მოედანზე. სამი რევოლუციის ქალაქში დიდებულ დემონსტრაციას წინ უძღოდა სამხედრო-საზღვაო პარადი ნევაზე და ლენინგრადის გარნიზონის ჯარების პარადი ზამთრის სასახლის წინ.

კარგ საქმეებს გვიპატაკებენ ლენინგრადელები — მეტალურგები და ქიმიკოსები, ფეიქრები და ჩარხშენებლები, უუხუცესი ხელსაწყოთა შემქმნელები. ქალაქისა და ოლქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა სამრეწველო წარმოების მოცულობის ოთხი თვის გეგმა. ახალი შრომითი გამარჯვებანი მოიპოვეს გემთმშენებლებმა, რომლებიც აგებენ გიგანტურ ტანკერს „ოქტომბრის 50 წლისთავს“. მეტალურგიული ქარხნის მშრომელები ამთავრებენ 300 ათას კილოვატიანი ორთქლის ტურბინის მშენებლობას, ამ ქარხნის კონსტრუქტორებმა კი უკვე შექმნეს 800 ათასი კილოვატი სიმძლავრის ერთლილვიანი ტურბინის სამუშაო პროექტი. მას ბადალი არ ეყოლება მსოფლიოში!

გორკში ტრადიციისამებრ სადღესასწაულო დემონსტრაცია დაიწყეს ქარხანა „წითელი სორმოვოს“ გემთმშენებლებმა. მოედანზე პირველი შემოვიდა დროშით ძველი კომუნისტი ი. ვ. მაკაროვი. აი უკვე 50 წელია მას აქვს პატივი მოჰქონდეს ქარხნის დიდებით მოსილი დროშა. რევოლუციამდელ მაისობათა მონაწილე კვლავ შრომობს სორმოვოს ერთ-ერთ ლაბორატორიაში.

სტავროპოლის მხარე აფეთქებული ბაღებითა და ალისფერი ალმებით შეეგება დღესასწაულს. სტანიცებსა და სოფლებში მოეწყო მიტინგები, მხარის გეორგიევსკის რაიონის უძველესი კოლმეურნეობის „კომუნისტური შუქურის“ სტადიონზე გაიმართა საპირველმაისო პარადი.

მაგადანში კი ჯერ ისევ ზამთარია. ქუჩებში აქა-იქ შეხვდებით უზარმაზარ ნამქერებს, რომლებიც თითქოს მოწმობენ ქალაქის მცხოვრებთა ამსწრენინდელ გამარჯვებას სასტიკ ციკლონზე. მაგრამ მკაცრმა ჩრდილოეთის ბუნებამ ხელი ვერ შეუშალა მაგადანელებს სიხარულით შეხვედროდნენ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს.

ათასობით მაგადანელმა — ოქროს მომპოვებლებმა, მელითონეებმა, გეოლოგებმა, პოლარული ავიაციის მფრინავებმა, მეზღვაურებმა ჩაიარეს გორკის სახელობის მოედანზე. ლამპრი იყო დღესასწაული **უფაში, ყაზანში, მურმანსკში,** ახალგაზრდა ქალაქ **ჩაიკოვსკში,** ყალმუხეთის დედაქალაქ **ელისტაში,** რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე.

* * *

ლამაზად მოურთავთ **კიევის** ქუჩები და პროსპექტები.

დღესასწაული იწყება სამხედრო პარადით. შემდეგ ცენტრალურ მაგისტრალზე დნეპრის მხრიდან შემოდის ხალხის მძლავრი ნაკადი. მოდიან ორდენოსანი კოლექტივების — რევოლუციურ ბრძოლებსა და მშვიდობიან შრომაში სახელგანთქმული ვ. ვ. ლენინის სახელობის „არსენალის“, „კიევმეტრომშენის“ მშრომელები, ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის მეცნიერები.

ბელორუსიაში წლევანდელი პირველი მაისი ღირსშესანიშნავია იმითაც, რომ მაისის დამლევს აღინიშნება რესპუბლიკის დედაქალაქის **მინსკის** 900 წლისთავი.

სამხედრო პარადის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია. კოლონების მორთულ-მოკაზმულობა მოგვაგონებს ბელორუსი ხალხის საბრძოლო და შრომითის საგმირო საქმეებს, რომლებსაც მაღალი შეფასება მისცეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. ქალაქი მინსკი, მინსკის, გომელისა და ვიტებსკის ოლქები დაჯილდოებულია ლენინის ორდენებით.

სადღესასწაულოდ მორთული და ხარაჩოებით შეხვდა პირველ მაისს **ტაშკენტი.** [illegible] მარტო უზბეკეთის [illegible] ლობის ცენტრიც აოს.

ამწეთა მწკრივებით აღინიშნა მარშრუტები, რომლებითაც დილით მძვინვარე ტაკლენტის ყველა რაიონიდან, ყველა უბნიდან დაიძრეხენ სადღესასწაულო კოლონები. ყველაზე დიდ კოლონას, რომელს თავზეც ფრიალებდნენ ყველა მოძმე რესპუბლიკის ალმები, წინ მოუძღოდნენ მოსკოველები. საბჭოთა ხალხების ორმოცმა ათასმა წარმომადგენელმა, რომლებიც ტაშკენტის დასახმარებლად მოვიდნენ მისთვის ძნელ ჟამს, უზბეკ მეგობრებთან ერთად აღნიშნეს გაზაფხულის დღესასწაული.

მოლდავეთის დედაქალაქის **კიშინიოვის** მოსახლეობის თითქმის ნახევარმა გაიარა საპირველმაისო კოლონების დროშებით. მზით გაცისკროვნებულ ვარსკვლავებზე იგრძნობოდა მოლდავური გაზაფხული. სადღესასწაულო დემონსტრაცია ახალგაზრდობამ დაიწყო. აქ ქალაქში იმდენი მოსწავლე და სტუდენტია, რამდენიც იყო მთელი მოსახლეობა ომისშემდგომ პირველ წელს.

გაზაფხულის ნაზი სიო არხევდა ალისფერ ლოზუნგებსა და ალმებს, რომლებიც **რიგის** ათეულ ათასობით დემონსტრანტს მოჰქონდა.

სასახარულო ცნობა მოედო ლატვიის ქალაქებსა და სოფლებს პირველი მაისის წინ. რესპუბლიკა ჩვენს ქვეყანაში პირველი მთლიანად გადაღის ამ დღეებში ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ხუთდღიანი სამუშაო კვირა ხელსაყრელი არის არა მარტო მშრომელებისათვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც.

ზეიმითა და სიხარულით აღნიშნეს საპირველმაისო დღესასწაული მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქების — **ალმა-ატის, ბაკოს, ვილნიუსის, ერევნის, აშხაბადის, ტალინის** მშრომელებმა. დემონსტრაციათა მონაწილეებმა ერთხელ კიდევ დადასტურეს, რომ მზად არიან განახორციელონ პარტიის წინასწარდასახულობანი, ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

* * *

ალისფერი ალმები და ტრანსპარანტები ფრიალებენ **უელენში** — ჩვენი ქვეყნის ყველაზე ალმოსავლეთით მდებარე დასახლებულ პუნქტში. აქ, მოსკოვიდან რამდენიმე ათეულ ათას კილომეტრზე, მონადირენი, მეირმენი, მშენებელნი ყველაზე ადრე შეხვდნენ პირველ მაისს.

ზეიმით აღინიშნეს საპირველმაისო დღესასწაული **ანტარქტიდის** საბჭოთა მკვლევარებმა, სადაც მკაცრი ზამთარი დაიწყო. შიდაკონტინენტურ სადგურ ვოსტოკში ვერცხლისწყლის სვეტი მინუს 70 გრადუსს უჩვენებდა!

ანტარქტიდის ყველა სამეცნიერო ბაზაში გაიმართა საზეიმო საპირველმაისო კრებები, გამოვიდა კედლის გაზეთების სადღესასწაულო ნომრები. ამხანაგების, მეგობრებისა და ნათესავებისაგან მიღებულმა მისალოცმა რადიოგრამებმა სითბოთი და სიხარულით აღავსო მეექვსე კონტინენტის მკვლევართა გული.

ჩვენი ქვეყნის ყველაზე სამხრეთით მდებარე დაბა **კუშეის** ათასობით მცხოვრები მოვიდა საპირველმაისო დემონსტრაციაზე. მათ საიუბილეო წელს გაახარეს სამშობლო — ვადამდე შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების კვარტალური გეგმა.

იცვლება პარალელები და მერიდიანები, იცვლება ამინდი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში. მაგრამ საპირველმაისო განწყობილება, დღესასწაული, რომელიც წინ უძღვის ამ წლის საიუბილეო ზეიმს, ყველგან სუფევდა. (საკდესი).

საპირველმაისო დროშები ჩვენს პლანეტაზე

საბჭოთა ხალხთან და სოციალისტური ბანაკის ხალხებთან ერთად პირველი მაისი აღინიშნეს მთელი პლანეტის პროგრესულმა ადამიანებმა. მილიონობით ადამიანმა ამ დღეს კიდევ ერთხელ ცხადყო ერთგულება სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა.

ვარშავაში ასეულ ათასობით მშრომელი 1 მაისს გამოვიდა გაზაფხულის მზის სხივებით მოფრქვეულ ქუჩებსა და მოედნებზე. საპატიო ტრიბუნის პირდაპირ პარადების მოედანზე მოსჩანს დიდი ლამაზი ტრანსპარანტები: „ვასრულიელებთ იმ იდეალებს, რისთვისაც იბრძოდნენ საუკეთესო პატრიოტთა და რევოლუციონერთა თაობები“, „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებანი სოციალისტური სახელმწიფოების უმიშროებისა და განვითარების საწინდარია“, „დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს პოლონეთისა და სსრ კავშირის ხალხების მეგობრობა“. დემონსტრაციის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვლადისლავ გომულკა.

პრაღაში საპირველმაისო დემონსტრაციაზე კოლონების თავზე ირხევა ალმების, ყვავილების, ტრანსპარანტების ზღვა, რომლებიც ქება-დიდებას ასხამენ ჩეხოსლოვაკიის მეგობრობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, მშვიდობასა და საერთაშორისო თანამშრომლობას, ერთობისა და შეკავშირებისათვის მოუწოდებენ კომუნისტურ პარტიებსა და სოციალისტურ ქვეყნებს. დემონსტრაციის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი და აღნიშნა, რომ წლევანდელი საპირველმაისო დღესასწაულობა დაკავშირებული უდიდესი ისტორიული მოვლენის წლისთავთან — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათ წლისთავთან, რომელმაც ახალი, პროგრესული გზა გახსნა კაცობრიობის განვითარებისათვის. შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, ა. ნოვოტნიმ განაცხადა, რომ ამჟამად მშვიდობის მთავარი ბურჯი, რომელიც სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს კაცობრიობის განვითარების ისტორიაზე, არის მსოფლიო სოციალისტური სისტემა. ა. ნოვოტნიმ მაღალი შეფასება მისცა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კარლოვი ვარის კონფერენციას.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისა და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის აღსანიშნავად გამოტანილი ლოზუნგებით ჩაიარა საპირველმაისო დღესასწაულმა ბერლინის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ბერლინის პარადისა და დემონსტრაციის მონაწილენი გულითადად მიესალმნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვალტერ ულბრიხტსა და სხვა ხელმძღვანელებს, რომლებიც ტრიბუნაზე იყვნენ. საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ფ. ემერტმა.

ბულგარეთში დედაქალაქის მშრომელებმა საპირველმაისო დღესასწაული აღნიშნეს დემონსტრაციით გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნის წინ, რომელზეც იყვნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი და სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი.

თავისუფლების კუნძული ზეიმით შეხვდა პირველ მაისს. კუბის დედაქალაქში რევოლუციის მოედანზე გაიმართა მშრომელთა დემონსტრაცია და მრავალათასიანი მიტინგი. ტრადიციისამებრ დემონსტრანტთა პირველ რიგში ჩაიარეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროსა და კუბის პროფკავშირთა ლიდერების მეთაურობით.

ფარფოდ და ზეიმით აღინიშნეს პირველი მაისის დღესასწაული რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშრომელებმა.

ჰანოის მცხოვრებლებმა საფრონტო პირობებში იზეიმეს საერთაშორისო სოლიდარობის დღე. მებრძოლი ვიეტნამის დედაქალაქში არ ყოფილა არც საპირველმაისო დემონსტრაცია, არც სახალხო სეირნობა, მხოლოდ დღესასწაულის გამო ქალაქის თეატრში გაიმართა ჰანოის საზოგადოებრივობის საზეიმო კრება. კრების პრეზიდიუმში იყვნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი, პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები. საზეიმო კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მადლობა უძღვნეს საერთაშორისო მუშათა კლასს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლასთან ძმური სოლიდარობისათვის და მოუწოდეს მსოფლიოს ხალხებს კიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა ვიეტნამში ამერიკის იმპერიალიზმის სისხლიან დანაშაულობათა წინააღმდეგ.

ალჟირელნი მშრომელებმა 1 მაისი მეზუთედ იდღესასწაულეს როგორც თავისუფალმა მოქალაქეებმა თავისუფალი ქვეყნისა. მაგრამ ჯერ კიდევ ახსოვთ ალჟირელებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის მძიმე წლები და ის, თუ როგორ დაბრიტეს კოლონიურმა ჯარებმა საპირველმაისო დემონსტრაციების მონაწილენი. ამიტომ ალჟირის მუშებმა, ფელაჰებმა, მშრომელმა ინტელიგენციამ დემონსტრაციები და მიტინგები მოაწყვეს ის ხალხებთან ძმური სოლიდარობის ნიშნით, რომლებიც იბრძვიან ეროვნული განთავისუფლებისათვის, იმპერიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ. „მშვიდობა ვიეტნამს“, „ძირს ამერიკის იმპერიალიზმი“, — ამ ლოზუნგებით ჩაიარეს დემონსტრანტებმა ალჟირის რესპუბლიკის ბეჯ ქალაქში.

წლევანდელი პირველი მაისი სამუდამოდ დაასხოვდებათ ცეილონელებს, როგორც ამ ქვეყნის ძირმოელთა ერთობის დამაჯერებელი დემონსტრაცია. დილიადანვე დემონსტრანტთა მრავალათასიანი კოლონები გამოვიდნენ კოლომბოს ქუჩებში. მათ მოჰქონდათ ალმები, ტრანსპარანტები, ეროვნულ ლიდერთა პორტრეტები. ალისფრად იყო მოკაზმული დედაქალაქის ქუჩები. ფრიალებდნენ სახლების გასწვრივ გაჭიმული წითელი დროშები, ადამიანები მორთულიყვნენ წითელი ტანსაცმელით, წითელი ქუდებით, მათ მოჰქონდათ წითელი ტრანსპარანტები და დროშები, როგორც წინა წლებში, გაერთიანებული მემარცხენე ფრონტის პარტიები და კომპარტია ერთად აღნიშნავდნენ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

„მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანი,— განაცხადა მალინ მშრომელთა ეროვნული კავშირის გენერალურმა მდივანმა მამადუ ფამადი სისოკომ, რომელმაც განხსნა საპირველმაისო მიტინგი ბამაკოში, — გმობს დღეს იმპერიალისტებს, რომლებიც თესავენ სიკვდილს ვიეტნამში, პორტუგალიის ბატონობის ქვეყნებში, აგრეთვე, იქ, სადაც გაბატონებულია აპარტეიდისა და რასიზმის რეჟიმები“. მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა და სუდანის კავშირის პარტიის გენერალურმა მდივანმა მოდიბო კეიტამ.

ნიუ-იორკის ათასობით მცხოვრები — მუშათა მოძრაობის ვეტერანები, სტუდენტი ახალგაზრდობა, პროფკავშირთა და ინტელიგენციის წარმომადგენლები მოვიდნენ იუნიონსკვერში ქალაქის ცენტრში საპირველმაისო მიტინგზე. „შეწყვიტეთ ომი ვიეტნამში“, „მიეცით თავისუფლება ვიეტნამელ ხალხს“, „სრული თანასწორობა — ამერიკელ ზანგებს“, „ჩვენ მოვითხოვთ ხელფასის მომატებას და ფასების შემცირებას“ — ასეთი იყო საპირველმაისო მიტინგის მონაწილეთა მთავარი ლოზუნგები.

კმელნში, ისევე როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბევრ სხვა ქალაქში, გაიმართა საპირველმაისო დემონსტრაცია. დემონსტრაციებში პროფკავშირთა მოწოდებით მონაწილეობდა დასავლეთ გერმანიისა და უცხოეთის ათასობით მუშა, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მუშაობენ, გერმანელებთან ერთად მოდიოდნენ ბერძნები, იტალიელები, ესპანელები. ბერძენი მუშების დიდი ჯგუფი ერთხმად გაიძახოდა: „ძირს დიქტატურა!“, „ძირს ფაშიზმი!“. დიდ ტილოებზე წარწერილია: „დღეს საკონცენტრაციო ბანაკები საბერძნეთში, ხვალ კი?“, —ფაშიზმი ვერას გახდება!“. ბევრ გერმანელს ხელში უჭირავს ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია: „საგანგებო კანონები — დიქტატურის გზაა“, „აიკრძალოს ნაციონალ-დემოკრატიული პარტია“, „ამერიკის შეერთებული შტატები, გაეცალეთ ვიეტნამს“.

„ჩვენი ძალაა შეკავშირება“ — ეს ლოზუნგი გაისმოდა ტოკიოში გამართული ცენტრალური საპირველმაისო მიტინგის ბევრ მონაწილეთა გამოსვლებში. იაპონის დედაქალაქისა და სხვა რაიონების 600 ათასზე მეტი მშრომელი მოვიდა აქ, რათა განეცხადებინათ, რომ გადაწყვეტილი აქვთ იბრძოლონ საარსებო უფლებათა დასაცავად, ვიეტნამის ომის წინააღმდეგ, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. გამოეცხადებინათ სოლიდარობა მთელი მსოფლიოს მუშებთან. ეს მიტინგი ამ ქვეყნის ომისშემდგომ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი იყო. დემოკრატიული ძალების წარმატებით გამოსვლამ ამასწინანდელ საყოველთაო არჩევნებში, მათი კანდიდატის გამარჯვებამ ტოკიოს გუბერნატორის არჩევნებში, იაპონიის ისტორიაში პირველად ერთ-ერთი ქალაქის მერად კომუნისტის არჩევამ განსაკუთრებული ხასიათი მისცა დღესასწაულს. ომის შემდეგ პირველად ტოკიოს ცენტრალურ მიტინგს დაესწრნენ ოკინავის წარმომადგენლები, რომლებიც იოაპარკეს შეერთებული შტატების მიერ ოკუპირებული ამ კუნძულების მშრომელთა ბრძოლაზე.

საპირველმაისო დემონს



ფოტო ვლ. ბინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე 1967 წლის 1 მაისს.

ძლიერება, სილამაზე...

საპირველმაისო სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია თბილისში

პჰა, გათენდა დიდი ოქტომბრის საიუბილეო წლის პირველი მაისი, აღსავსე გაზაფხულის ფერებით. დილა ადრიან ზღვა ხალხი გამოფენილ ქუჩებში და მოედნებზე.... სულ უფრო მატულობს ყვავილები, სითბო და ხალისი. კარგა ხანია არ გვინახავს მზე ასე გულუხვი, განუწყვეტლივ რომ ეთამაშება მომბიბლავ ფერთა სიმრავლეს.

დიახ, ეს საიუბილეო წლის პირველი მაისი დაიბადა — ყველა ქვეყნის მშრომელთა ტრადიციული ზეიმის, მსოფლიოს მუშათა კლასის ერთიანობისა და ძმობის დღე.

ჩვეულებრივზე ადრე გაღვიძა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმაც. როგორ დამშვენდა და გაიზარდა იგი საბჭოთა ხელისუფლების წლებში! სუფთა, ლარივით გაჭიმული ქუჩები და პროსპექტები, მრავალსართულიანი შენობები, ლამაზი ხეივნები და პარკები სადღესასწაულოდ ჩვეულმებრივ. ყველგან შეხვდებით ალისფერ დროშებსა და ტრანსპარანტებს. წითელ მატერიებზე წარწერილია ლოზუნგები: „გაუმარჯოს პირველ მაისს!“; „საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო ფარფოდ გაშალეთ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად!“

მაგრამ ყველაზე ხალხმრავალი მაინც რუსთაველის პროსპექტია — თბილისის ეს მთავარი მაგისტრალი. მთავრობის სასახლის ცენტრალურ ნაწილზე დიდი ლენინის ბარელიეფური პორტრეტია. მთელი შენობის ფასადს შვენის მოკავშირე რესპუბლიკათა გერბები.

წითელი ქსოვილით შემოსილ ტრიბუნებზე არიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, ჩვენი დედაქალაქის სტუმრები.

მთავრობის ტრიბუნას იკავებენ ამხანაგები: ვ. პ. მეჟლაუნაძე, ჯ. ა. ორდიონიძე, დ. ბ. სტერლა, რ. ი. ფრუნიძე, ზ. ი. ჩოგოვაძე, გ. ხ. ძოწენიძე, შ. ი. ჯანუფაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, ფ. დ. კიბნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ბ. ჩერქეზია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ბ. გელდიაშვილი, ნ. ბ. გოგ�აური, ა. მ. ლაბახუა, ვ. მ. სირაძე, ვ. მ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ი. პ. სტეპჩენკო.

დილის 10 საათია. რუსთაველის პროსპექტზე და მის შენაკად ქუჩებში განლაგებული ჯარებისაკენ ლენინის მოედნიდან ღია მანქანით გამოემართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი ა. ტ. სტუჩენკო, მას პატაკს აძლევს თბილისის გარნიზონის უფროსი, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი დ. ა. დრაგუნსკი. არმიის გენერალმა დაიწყო ჯარების შემოვლა. სარდალის საპირველმაისო მისალმებაზე პასუხად გაისმის მხეცური „ვაშა“!

ჯარების შემოვლა დამთავრდა. არმიის გენერალი გადმოდის მანქანიდან და მთავარი ტრიბუნისაკენ მიემართება. როცა იგი მიკროფონთან მივიდა, გაისმა ფანფარების ხმა, რაც ნიშნავს: „ისმინეთ ყველამ!“

ოლქის ჯარების სარდალი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის სახელით საიუბილეო წლის პირველი მაისის დღესასწაულს ულოცავს რესპუბლიკის მშრომელებს და ოლქის ჯარებს, აღნიშნავს იმ ბრწყინვალე შედეგებს, რასაც საქართველოს მშრომელებმა მიაღწიეს კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტის გზაზე. რესპუბლიკის დაჯილდოება მეორე ლენინის ორდენით, აგრეთვე ამას წინათ საქართველოსათვის საკავშირო გარდამავალი დროშის მინიჭება იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ოქტომბრის რევოლუციის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს რესპუბლიკის მშრომელები პირნათლად ხვდებიან. მათთან ერთ მწყობრში არიან საბჭოთა მეომრებიც.

— ჩვენი მშობლიური პარტია, — ამბობს ამხ. ა. ტ. სტუჩენკო, — დაუღალავად იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის. ამასთან იგი ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს ქვეყნის უკონომიკას, მის ბრძოლისუნარიანობას, რომ, თუ საჭირო გახდა, საკადრისი პასუხი გავცეთ ყოველ აგრესორს, რომელიც ჩვენს მშვიდობიან შრომას, ჩვენს თავისუფლებას ემუქრება.

სიტყვის დასასრულს ამხ. ა. ტ. სტუჩენკო ახალ წარმატებებს უსურვებს რესპუბლიკის მშრომელებს საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

კვლავ გაისმის მქუხარე „ვაშა!“... სამხედრო სალუტის ხმამ შეაზანზარა ჰაერი. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნებს.

გაისმის ბრძანება. დაიწყო თბილისის გარნიზონის ჯარების საზეიმო მარში...

ლამაზ კოლონებად პროსპექტზე ტრადიციის მიხედვით დაიჭრნენ ოფიცერთა ნაწილები. მათ მოაქვთ საბრძოლო დროშები, რომლებიც გამოვლილია სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ბრძოლებში. ამ კოლონების მრავალი ოფიცრის მკერდს ორდენები და მედლები ამშვენებენ. დიდი ბრძოლების ვეტერანთა გვერდით მოდიან ახალგაზრდა ოფიცრებიც.

აი ტრიბუნებს უახლოვდებიან ერთ-ერთი უძველესი სამხედრო სასწავლებლის, თბილისის 26 ბაკოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები. ამ სასწავლებლის ბევრმა აღზრდილმა სახელი გაითქვა დიდი სამამულო ომის წლებში. მარტო 25 მათგანი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

მხნე ნაბიჯებით მოდიან გვარდიელები, რომელთაც მოაქვთ დიდ ბრძოლებში გამოვლილი, ზოგან ტყვიით გახვრეტილი საბრძოლო დროშები. საბჭოთა გვარდია — ეს ჩვენი ხალხის სიამაყეა. ამ კოლონაში მხარდამხარ მოდიან განუყრელი საბრძოლო მეგობრები — რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, საბჭოთა ჯარისკაცთა მეგობრობას რომ ასე ეოცნებად განასახიერებენ.

გვარდიელთა კოლონას მიჰყვებიან მეკავშირეთა ქვეგანაყოფები, სახელოვანი ავიატორები, მეზღვაურები, მესაზღვრეები, ჩვენი შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლები...

როგორც კი ტრიბუნებს ჩაუარეს ჯარების ბოლო კოლონებმა, ერთი წუთით ყველაფერი მიწყნარდა. და აი შორიდან მოისმა მოტორების გუგუნი. ცენტრალურ პროსპექტზე სულ უფრო მკვეთრად მოისმის ეს გუგუნი, რაც ამას გვაუწყებს, რომ მოდის ჩვენი ქვეყნის საბრძოლო ტექნიკა. მოდიან ჯავშნოსანი მანქანები, მძიმე და მსუბუქი ჯავშანტრანსპორტიორები. საწყვრებს შემოჰყავთ ქვემეხები, ჰაუბიცები, მძლავრი ნაღმსატყორცნები. ეს ჩვენი ჯარების მოტორიზებული ნაწილებია. მანქანებზე არიან მამაცი ჯარისკაცები, ბევრი მათგანი საბრძოლო მომზადების ფრიადოსანია.

პროსპექტზე ირგვლივ გამოცოცხლებულა. გამოჩნდა საბჭოთა არმიის მთავარი იარაღი — მრისხანე რაკეტები! ჩვენი მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მეოხებით სულ უფრო მძლავრნი და ზუსტნი გახდნენ ისინი. ამ იარაღს მართავენ ადამიანები, რომლებიც კარგად არიან დაუფლებულნი მისი ზუსტად მიზანში გაგზავნის საიდუმლოებას.

სხვადასხვა ზომისა და მოწყობილობის რაკეტების გამოტანა ამ პარადზე ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეითი ჯარი გახდა არა მარტო მოტორიზებული, არამედ რაკეტიანიც.

სამხედრო მანქანების შემდეგ მარშით ჩაიარა ნაკრებმა ორკესტრმა.

პარადი დამთავრდა. ჩვენი ჯარების ამ საზეიმო მარშმა ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, მისი მზადყოფნა, რომ საკადრისი პასუხი გასცეს ყოველ აგრესორს.

რუსთაველის პროსპექტზე ჯერ არც კი მიწყნარებულა მოტორების გუგუნი და აი ოფიცრებთა ალისფერი დროშების ტყე. ეს დროშები თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებს მოაქვთ, რომლებიც თავიანთი საპირველმაისო დემონსტრაციაზე მოვიდნენ. ტრადიციულად დემონსტრაციას ლენინის რაიონის საწარმოთა კოლექტივები ხსნიან.

ერთ-ერთი კოლონის წინ ელმავლის მაკეტი გამოჩნდა. იგი რესპუბლიკის ახალგაზრდა საწარმოს — ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავლსაშენებელო ქარხნის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს მოაქვთ. თითქოს სულ ახლახან იყო, საწარმომ პირველი ელმავალი რომ გამოუშვა. დღეს კი ჩვენი სამშობლოს ფოლადის მაგისტრალებზე მრავლად დაქარიან თბილისური მარკის მძლავრი ელმავლები.

ამაყად ჩაუარეს ტრიბუნებს 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებლო, კიროვის სახელობის ჩარხთმშენებლო ქარხნების, „პლასტმასის“ და სხვა საწარმოების ადამიანთა კოლონებმა. პანოები და ტრანსპარანტები, რომლებიც მათ მოაქვთ, მოგვითხრობენ თავდადებულ შრომაზე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაზე.

მშრომელთა დემონსტრაციას ბოლო არ უჩანს, არ წყდება ხალხის ნაკადი. მოდიან თბილისის პირველი მაისის, ოქტომბრის, კალინინის, კიროვის, 26 კომისრის, ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა კოლონები. ყოველ მათგანს წინ მოუძღვიან პიონერები და მოსწავლეები, ჩვენი ჯასსალი ახალგაზრდობა — კომუნიზმის მომავალი მშენებლები. მაისი ხომ ყვავილების, გაზაფხულის, ახალგაზრდობის დღესასწაულია. რუსთაველის პროსპექტი ვერ იტევს ამდენ ყვავილებს. ნამდვილ ყვავილებს ჰგვანან თაიგულებით ხელში პაწაწინა გოგონები და ბიჭუნები.

კოლონები კი მოდიან და მოდიან. თვითეულ მათგანში მაისის, გაზაფხულის ფერთა სიჭარბეა. დროშებით, ლოზუნგებით, პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტებით დემონსტრაციაზე მოსულან ფოლად-თუჯსამსმელო თუ ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნების კოლექტივები, თბილისის რიცხა თუ „კამოლმაუფის“ კომბინატების მშრომელები. ამ საწარმოთა კოლექტივებმა წლის პირველ კვარტალში თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს.

მოდიან სახეგაბრწყინებული მეტროშენებლები. სწორედ პირველი მაისის წინადღეებში მათ კიდევ ისახელეს თავი — მიწისქვეშა გვირაბით დააკავშირეს ლენინის მოედანი და 26 კომისრის რაიონი. მათი საზეიმო დაბრება 7 ნოემბრისათვის საეჭვოლოგიურად გადასცეს თბილისის მეტროს მეორე უბანი.

ტრიბუნებიდან გულთბილად მიესალმებიან სახელოვან რკინიგზელებს, კავშირგაბმულობისა და გამომცემლობათა მუშაკებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, ადამიანებს, რომლებიც ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან.

საქართველო სამართლიანად ამაყობს უმაღლესი და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ფართო ქსელით. დემონსტრაციაზე მოდიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკური, პუშკინის სახელობის პედაგოგიური, უცხო ენათა, ფიზკულტურის ინსტიტუტებისა და სხვა სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ლამაზად, მოხდენილად მოდიან კუნთმაგარი ფიზკულტურელნი, რომლებმაც არაერთხელ დაიცვეს ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება.

თბილისის მშრომელთა დემონსტრაციაზე ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოჩნდა დიდი ოქტომბრის საუცხოო მონაპოვარი — საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობა. მშრომელთა კოლონებში ქართველების მხარდამხარ მოდიან რუსები და უკრაინელები, აზერბაიჯანელები და აფხაზები, სომხები და ოსები, ბელორუსები და ბერძნები, სხვა მრავალ ეროვნებათა წარმომადგენლები. და ამის სიმბოლური იყო ის, რომ დემონსტრაციის შეუერთდნენ თბილისში სტუმრად ჩამოსული უკრაინის სსრ რესპუბლიკის ხერსონის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებიც.

საქართველოს მშრომელები, რომლებიც მუდამ ერთგულნი იყვნენ და არიან მშრომელთა ინტერნაციონალური მეგობრობისა და სოლიდარობისა, გადაჭრით გმობენ ყაჩაღურ ომს ვიეტნამში და საბერძნეთის რეაქციის ძალადობას ბერძენი პატრიოტების მიმართ. „ჩვენ თქვენთანა ვართ, ვიეტნამელო ძმებო!“ — ასეთი ლოზუნგი მოაქვს თბილისელ მშრომელთა თითქმის ყველა კოლონას.

სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია თბილისში რამდენიმე საათს გაგრძელდა. იგი იყო ჩვენი ძლიერების, სილამაზისა და აყვავების, უფრო ნათელი მომავლისათვის მებრძოლი ქვეყნის ძალების ჭეშმარიტად თვალსაჩინო დათვალიერება.

ალ. ზურაშვილი.



ზ ე ი მ ი საქართველოში

საიუბილეო წლის პირველი მაისისათვის ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები, რაიონული ცენტრები სადღესასწაულოდ მოირთო. ჩვეულებრივზე ადრე გაფრეფინა ხალხი ქუჩებში, მოედნებზე. ყველგან ისმოდა მუსიკა და სიმღერები.

საპირველმაისო დღესასწაულმა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა. ამ ზეიმზე საქართველოს მშრომელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განაღდებისათვის, დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

სოხუმი

სოხუმი. (საკ. კორ.). გაზაფხულის ზეიმი, ხალისიანი დილა გათენდა საქართველოს ზღვისპირეთის — აფხაზეთის დედაქალაქში. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების პორტრეტებით, ალისფერი დროშებით, ტრანსპარანტებით, ცოცხალი ყვავილების გირლანდებით არის დამშვენებული ქალაქის ქუჩათა შენობების ფასადები. ყველა უბანში სახეიმო განწყობილება სუფევს.

დილის 11 საათია. მიმზიდველად გაფორმებული კოლონები მიემართებიან ლენინის სახელობის მოედნისაკენ. ქალაქის მოსწავლეთა და მშრომელთა დემონსტრაციას ხსნის მედროშეთა ნაკრება კოლონა. მოედანზე პირველნი შემოდიან ქალაქის მოსწავლეთა მრავალათასიანი კოლონები.

ტრიბუნას მხიარული სახეებით ჩაუარეს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლონებმა, რომლებსაც თან მოაქვთ მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ნიმუშები. ქალაქის მრეწველობამ საიუბილეო წლის ოთხი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის ზეგანი გამოშვებულია 1 მილიონ 350 ათასზე მეტი მანეთის პროდუქცია. შეჯიბრების ფაანგარდში არიან სოხუმის საგალანტერეო და საქსოვი ფაბრიკების, ხოლო მშენებელთა შორის № 6 ტრესტის მეხუთე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივები.

მშრომელთა დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთში დასასვენებლად ჩამოსულმა სტუმრებმა.

1 და 2 მაისს ქალაქის პარკებსა და სკვერებში, სასპორტო მოედნებზე მოეწყო მშრომელთა მასობრივი სეირნობანი, სპორტული შეჯიბრებები.

ბათუმი

ბათუმი. (საკ. კორ.). მოზეიმე ქალაქმა აღრე გაიღვიძა. ყვავილნარებთ მოქარგული ქუჩები ხალხით აივსო.

მშრომელთა კოლონები თანდათან იკრიბებიან სანაპირო ქუჩაზე.

11 საათია. ლენინის მოედანზე აგუგუნდა მძლავრი სამწყობრო მუსიკა. პარადს ხსნიან ქალაქის სკოლების მოსწავლეთა კოლონები. წითელ ყაყაჩოებივით ელავს პიონერული ყელსახვევები, ლაღად ირხევა ალისფერი დროშები.

მოსწავლეებს მოჰყვება უფროსი თაობის ახალგაზრდობა: პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, ქალაქის ტექნიკუმების მოსწავლეები. მოდიან საზღვაო სასწავლებლის კურსანტები — მომავალი მეზღვაურები, ლოცმანები, კაპიტნები.

ბ ა თ უ მ ი

საქართველოში

უწყვეტ ნაკადად მოდის სახელოვანი ტრადიციების ქალაქის მუშათა კლასი, ესენი არიან გემთსაშენებლო, მანქანათსაშენებლო, ნავთობგადასამუშავებელი, ელექტრომექანიკური, ელექტროტექნიკური, ელექტროხელსაწყოს ქარხნების, ბამბუკის, სამკერვალო, ფეხსაცმლის, საკონდიტრო ფაბრიკებისა და სხვა საწარმოთა მუშები, რომლებმაც ოთხი თვის გეგმა 25 აპრილს დაასრულეს და საშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს წყალქვეშაფრთიანი კატარღები, ელექტროკარები, ავეჯი, ნავთობი.

ტრანსპორტის, მშენებლობა, თევზსაჭერი ბაზის, ხელოვნებისა და კულტურის დარგის, მედიცინის, სამეცნიერო დაწესებულებების, საწარმო-დაწესებულებების კოლონებს ლენინის მოედანზე მოაქვთ თავიანთი გეგმები და ვალდებულებები საიუბილეო წლისათვის.

ტრიბუნას ჩაუარა ათეულ ათასობით მშრომელმა. პარადი დამთავრდა, მაგრამ ზეიმი არ შეწყვეტილა, იგი გრძელდებოდა ბულვარში, სანაპიროზე, ბაღებსა, სკვერებში და ოჯახებში.

ცხინვალი

ცხინვალი. ქალაქი საზეიმოდ არის მორთული. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის მშრომელები საიუბილეო წლის პირველ მაისს დღესასწაულობენ.

11 საათზე დაიწყო მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია. მოედანზე ხეთაგუროვის სახელობის თეატრთან მოდიან საშუალო სკოლების მოსწავლეთა კოლონები, პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, წარმოების მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ მოაქვთ კოლექტივების საიუბილეო წლის შრომითის წარმატებათა ამსახველი პლაკატები და ტრანსპარანტები.

საერთაშორისო სოლიდარობის დღის დღესასწაულის დღეს ოსეთის მშრომელებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, მზადყოფნა, თავდადებული შრომით ამრავლონ სოციალისტური საშობლოს ძალიერება. (საქდესი).

ქუთაისი

ქუთაისი. (საკ. კორ.). დილის ათ საათზე დაიწყო მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია ქუთაისში. ცენტრალურ მოედანზე აღმართულ ტრიბუნას ჩაუარეს მშრომელთა კოლონებმა. მათ მოაქონდათ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებმა საშობლოს უპატაკეს, რომ შეასრულეს საპირველმაისო ვალდებულებანი.

აი ქართველ ავტომობილმშენებელთა კოლონა. კოლონას მოუძღვება ახალი ტიპის ავტომატარებელი „კაზ-608“, ამას წინათ ათვისებული სატვირთო ავტომანქანის საცდელი ნიმუში, რომლის სერიულ წარმოებას ქარხანა მომავალი წლიდან დაიწყებს.

ტრიბუნას ლოზუნგებით „სამაისო წაიუბილეო ვალდებულებანი რეალიზებულია“ ჩაუარეს ელექტრომექანიკური, სატრაქტორო, ლითოფონის, მინის ტარის, საკონსერვო და სხვა ქარხნების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კოლექტივების კოლონებმა.

საპირველმაისო დემონსტრაციის შემდეგ ქალაქში გვიან დამემდე გრძელდებოდა სახალხო სეირნობა.

რუსთავი

რუსთავი. (საკ. კორ.). საზეიმოდ არის მორთული მეტალურგების, ქიმიკოსებისა და მშენებლობის ქალაქი. დილიდანვე ქუჩები დემონსტრანტთა კოლონებით აივსო. ისმის ქართული, რუსული, უკრაინული, აზერბაიჯანული და სხვა ეროვნებათა მელოდიები.

11 საათზე დაიწყო საპირველმაისო პარადი. ტრადიციის მიხედვით ტრიბუნას პირველებმა ჩაუარეს მეტალურგებმა, მათს კოლონებს წინ მოუძღვიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სახელმოხვეჭილი მეფოლადე გ. სებისკვერაძე, სოციალისტური შრომის გმირები ა. ძამაშვილი და ვ. კობერიძე, ლენინური პრემიის ლაურეატები ს. შარაძენიძე, ბ. წერეთელი და ნ. გრუშეცკი.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ჩაუარეს ტრიბუნას აგრეთვე მშენებლებმა, მანქანათმშენებლებმა, მეცეკმენტეებმა, სამშენებლო მასალათა მწარმოებლებმა და ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებებმა.

საპირველმაისო დემონსტრაცია დამთავრდა. მაგრამ პირველ და ორ მაისს ქალაქში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა სადღესასწაულო განწყობილება. ქალაქის პარკებსა და ბულვარებში მოეწყო მასობრივი სეირნობა.

ეს სურათები გადაღებულია პირველი მაისის დღესასწაულზე ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში. მარცხნივ — რაკეტული ტექნიკის გავლა თბილისში რუსთაველის პროსპექტზე; შავი ზღვის მეზღვაურები ტრიბუნასთან; ხერსონელ ტურისტთა კოლონა დემონსტრაციაზე თბილისში. მარჯვნივ — საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილენი ლენინის სახელობის მოედანზე სოხუმში, ბათუმის მშრომელნი დემონსტრაციაზე; დემონსტრანტები ქუთაისის ქუჩებში.

ფოტოები შ. ჩხეტიანისა და ვლ. ბინზბურგისა („კომუნისტი“), მ. ტარასოვისა, ნ. ანასტასიევისა, ბ. ბერსამიანი (საქდესის ფოტოქრონიკა).

პირველი მაისის დადგომას თბილისი წელს ლურჯად მოკამკამე ცითა და ჩახჩახა მზით შეეგება. ადრე დილადანვე ახმიანდა და მოღიმარი მხიარული თბილისელებით აივსო მისი ქუჩები. ქალაქის მთავარი მაგისტრალებით დაიძრნენ დემონსტრანტთა კოლონები. ნიავი აშრიალებს დროშებსა და საპირველმაისო ლოზუნგებს. დემონსტრაციის შემდეგ კი მხიარულებამ ბალებში, პარკებში, ოჯახებში გადაინაცვლა. როცა დაბინდდა და მუქ ლურჯ ცაში ვარსკვლავები აკიაფდა, ნაირფეროვანი შუშხუნების ფეიერვერკით გაჩირაღდნდა ქალაქი. ეს იყო სადღესასწაულო საარტილერიო სალუტი. ეს სურათები გადაიღეს ჩვენმა ფოტოკორესპონდენტებმა შ. ჩხეტიანმა და ვლ. გინზბურგმა. მარცხნივ — სადღესასწაულო სალუტი; ცენტრში — დემონსტრანტთა კოლონა რუსთაველის პროსპექტზე; მარჯვნივ — თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლენი დემონსტრაციაზე.

ლიდერის დამარცხება

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი) 2:4 (1:3). მინსკი. 2 მაისი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ი. ბოჩარიოვი (მოსკოვი).

„დინამო“ (მინსკი) — ვ. გუსოტკო (ანდრესი), კოლტუნოვი, კანუნიკოვი, რიომინი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, კურილოვი, ადამოვი, ტოლეიკო, მალოფეევი, კაბერსკი (მუსტიგიანი); „დინამო“ (თბილისი) — ურუშაძე, ბ. სიჭინავა, შერგელაშვილი, ხურციოლავა, ცხოვრებოვი, ჭელიძე, პეტრიაშვილი (იამანიძე), დათუნაშვილი, მეტრეველი, ნოდია, ასათიანი.

თბილისელთა განლაგებაში თვალსაჩინო სიახლენი იყო, კერძოდ ნახევარდაცვაში. ამ სიახლეებმა, ამასთანავე გუნდის ჩინებულმა საბრძოლო განწყობილებამ და გამარჯვების წყურვილმა ჩვენს ფეხბურთელებს წარმატება მოუტანა.

შეხვედრის ბედი ფაქტიურად პირველი ტაიმის დასაწყისშივე გადაწყდა. უკვე მე-15 წუთისათვის ანგარიში იყო 3:0 თბილისელთა სასარგებლოდ ორი ბურთი ზედიზედ გაიტანა ასათიანმა, ერთი — მეტრეველმა. მასპინძლები დიდხანს ვერ მოვიდნენ გონს, მაგრამ ტაიმის ბოლო წუთებში მაინც შეძლეს ერთი ბურთის გატანა (მალოფეევი) — 3:1.

მეორე ნახევარში სტუმრების ერთ-ერთი იერიშის დროს მინსკელთა მცველმა კართან ბურთი ხელით მოიგერია. მსაჯმა. ცხადია, 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა, და მეტრეველის დარტყმაც მიზანს მოხვდა — 4:1. ამის შემდეგ კვლავ მალოფეევმა გამოიჩინა თავი მეორე გოლით.

გაიმარჯვეს თბილისელებმა 4:2.

„ზენიტი“— „ტორპედო“

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:0 (0:0). ლენინგრადი. 2 მაისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. მსაჯი — ი. კონოვალოვი (კიშინიოვი).

„ზენიტი“ — ბელკინი, ნეპომნიუეევი, რუდი, იზვეკოვი, დანილოვი, სადირინი, ნიკოლაევი, გუსევი (ეფიმოვი), რიაზანოვი, ბურჩალკინი, ნაუმოვი; „ბორპედო“ — კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, სიამაშვილი, ძოძუაშვილი, ზარია (ძაგანია), ჩხაიძე, ასიტაშვილი, ჭითანავა, ვეკუა, ერქომაიშვილი.

აუტსაიდერები ყოველთვის საშიში არიან. ეს ერთხელ კიდევ დამტკიცდა „ზენიტისა“ და „ტორპედოს“ გუშინწინდელ მატჩში. ლენინგრადელები მოქმედებდნენ შეუპოვრად, შემტევი სტილით, მაგრამ პირველ ტაიმში ორივე კარი აუღებელი დარჩა.

მეორე ნახევარს მეტი სიმძაფრე ანასიათებდა, მეკარეები მთელი დატვირთვით იბრძოდნენ. 59-ე და მე-60 წუთებზე მასპინძლებმა ზედიზედ მიიტანეს იერიში ტორპედოელთა კარზე, კვასხვაძემ ორჯერ მოიგერია ბურთი, მაგრამ მესამეჯერ უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეეძლო. და ნახევარმცველმა ნიკოლაევმა ერთი გოლით თავის გუნდს ორი ქულა შესძინა.

წონასწორობის აღდგენა შეიძლებოდა, საგოლო მომენტებიც იყო, მაგრამ ჩხაიძემ ორჯერ დაკარგა კარის აღების რეალური შესაძლებლობა.

ა. ქასრაშვილი

გარდაიცვალა ტყიბულქვანახშირის საბადოს ძველი მუშაკი, სკკპ წევრი 1919 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ალექსანდრე რომანოზის-ძე- ქასრაშვილი.

ა. ქასრაშვილი დაიბადა 1891 წელს დაბა ტყიბულში (ყოფილი ქუთაისის მაზრა) ღარიბი გლეხის ოჯახში. თვრამეტი წლის ჭაბუკმა მუშაობა დაიწყო ტყიბულის მაღაროებში მებადგედ. 1913 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც დაპყო 1918 წლის აპრილამდე, ჯარში ყოფნისას იგი ეზიარა რევოლუციურ საქმიანობას, ჯარისკაცთა შორის ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ აგიტაციას.

1918 წლის გაზაფხულზე ა. ქასრაშვილი დაბრუნდა მშობლიურ ტყიბულში, სადაც ჩაება აქტიურ რევოლუციურ საქმიანობაში. მუშახტეთა შორის რევოლუციური მუშაობისა და ერთ-ერთი გაფიცვის ხელმძღვანელობისათვის იგი დაპატიმრეს იქნა. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ მუშაობა ვლადე ტყიბულის მაღაროებში გაგანაგრძო, ამასთანავე ეწეოდა პარალელურ საქმიანობას.

1919 წლის იანვარში ა. ქასრაშვილი შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს შენაწევიკური მთავრობის დამხობისათვის ბრძოლაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იმყოფებოდა სხვადასხვა პასუხსაგებ პარტიულ და სამეურნეო სამუშაოზე.

ა. ქასრაშვილი დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით. ძველი ბოლშევიკის, ღვაწლმოსილი. თავმდაბალი და ენერგიული მუშაკის ა. ქასრაშვილის ხსოვნა მუდამ იიოცხლებს მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტი.

ბაზაფხული

ჩანახატი

ისევ მოვიდა გაზაფხული. ნამტირალევ ცას ცრემლი შეაშრა და პირზე ღიმილი გადაეფარა. არაკრაკდნენ ნაკადულები. თვალი გააცილეს ჭრელ-ჭრელა ყვავილებმა და მათ სუნთქვაზე დაიბადა გრილი ნიავი. ცისარტყელებმა გადახაზეს ცის კამაღონი.

ნაცნობ წყაროსკენ მივყვები ბილიკს. ხეებს კვირტები დაბერვიათ და სადაც არის დასკდებიან. გვრიტების გუნდმა გადაუფრინა გადახნულ ყანას და კორღეს იქით გაუჩინარდა. მეწალე ბალახმა ასწია მიწა და თითქოს მეხმის წყარი მიწის. სუნთქვა, თბილი, დამათრობელი. ბუჩქებთან ისევ ჭაბალებს შაშვი და მე მგონია ისევ ბავშვი ვარ — შურდულით ხელში დავდევ ჩიტებს.

ყოჩივარდებით მოფენილა კორდი და მდელო, იღიმებიან ენძელები, თვალებს ნაბავენ სინათლეზე დარცხვენილი ლურჯი იები. მე კი ის მოყვარს — თეთრი ენძელა, მორცხვი და ნაზი, ბუჩქის ძირას მდგარი თვალსველი.

გახსოვს — ჩვენ ერთად ვსეირნობდით ამ ბილიკებზე, ვკრეფდით გაზაფხულის პირველ ყვავილებს, მერე თმაში გიბნევდი თეთრ ენძელებს, — ლურჯთვალა იებს. მე ენძელები მიყვარდა უფრო, რადგან სიმორცხვით შენა გგავდა თეთრი ენძელა. ენძელასაც ხომ შენებრ ჰქონდა მაღალი ყელი. შენს ლამაზ თვალებს ვადარებდი ენძელას თვალებს და მიტომ ყოველ გაზაფხულზე ენძელებით გიფსვედი უბეს. შენ გებრალებოდნენ ისინი და გულში იხუტებდი სათუთად, სიყვარულით, თითქოს გინდოდა ცხელი სუნთქვით მათთვის სიცოცხლის დაბრუნება. და მე ვფიქრობდი, სილამაზესთან ერთად რა კეთილი, რა გულზეილი და სათნო იყავი. გაზაფხული იდგა მაშინ, სულ პირველად რომ გავიცანი. მაშინ ჩემს სულშიც ფრთებსა შლიდა აპრილი მწველი. მე შენ გაგანდე ჩემი გული წრფელი და ლაღი. ო. მე კი არა, ენძელებმა გითხრეს სათქმელი — იმ ენძელებმა, შენ რომ გგავდნენ ღვიძლი დებივით. შენ გაიღიმე და ენძელებს მოფფერებით მიეც დასტური.

მე იმ გაზაფხულს, იმ ტკბილ აპრილს ვიგონებ ახლა. ისევ იმ ბილიკს მივუყვები. ისევ ისეთი ცა მაცხურავს — სუფთა და წყნარი, ისევ ის ხენი აკვირტულან გადასაფურჩქნად, ისევ წკრიალებს ხევში წყარო — წმინდა, ანკარა, ისევ ხარობენ ენძელები გულგასახარად, მეც ისევ ვეფერები ჭრელ-ჭრელ ყვავილებს, ვკრეფ ყელმოხატულ მაღალ ენძელებს და ვკრავ კონებად. მაგრამ შენ სად ხარ, რომ მოგიძღვნა ეს ყვავილები, სად ხარ ეხ, ჩემო სიყვარულო, — ჩემო ხმატკბილო სალამურო.

ჰეი, გვრიტებო! სად მიფრინავთ? თქვენ მაინც მითხართ, სად გაფრინდა ჩემი შროშანი. ფრთები მათხოვეთ, ტოროლებო, რომ დავეწიო ჩემს სიყვარულს ისრად გაფრენილს. წყაროო, შენ ჩემო მეგობარო, შენ ჩემთ სარკეე — სახის კი არა, სულის სარკეე — წყაროო წვრილაა, არ დაგინახავს, სად წავიდა ჩემი ფერია? თეთრო ენძელაჯ, ასე რად მორცხვობ, ცრემლიან თვალებს რად მარიდებ, ლურჯთვალა იავ, მითხარ, სად ვეძებნო თქვენი მსგავსი მშვენებით სავსე ანგელოსი ჩემი ოცნების; ცად აფრინდა თუ მიწამ შთანთქა?

ო, გაზაფხულო, მიპასუხე, რად არ გესმის ჩემი ძახილი?!

ო, ენძელებო, მაძეხნინეთ თვალები თქვენსავით ლაღი მზენასვამი და მომღიმარი.

დ. ხახიაშვილი.

ნახატი გ. იაშვილისა.



საჩუქრად სიხარული!

△ **სამტრედიაში** ამ დღეებში დამთავრდა ახალი კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობა. იგი აგებულია ტიპური პროექტის მიხედვით.

ნ. მანჯგალაძე.

△ **თიანეთი.** (საკ. კორ.). ნაყოფიერად შრომობს თიანეთის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს კოლექტივი (საბჭოს თავმჯდომარე ს. ასლანიკაშვილი), რომელმაც შარშან 17 ნაცვლად საექსპლოატაციოდ გადასცა 29 ობიექტი და სამშობლოს მისცა 25 ათას მანეთზე მეტი მოგება.

ამჟამად სამშენებლო საბჭო აშენებს თვრამეტბინიან საცხოვრებელ სახლს, ვეტპუნქტს, ბაზარს, აფთიაქს, წყალსადენს.

△ **მაიაკოვსკი.** (საკ. კორ.). რაიონში არ ახსოვთ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ასე ფართოდ გაქანება. შენდება 240-საწოლიანი საავადმყოფო, დიდი ადმინისტრაციული სახლი, უნივერმაღი და სხვა ობიექტები.

სამაისოდ დაბის ცენტრში წერეთლის ქუჩაზე, საექსპლოატაციოდ გადასცეს 3-სართულიანი სახლი, რომლის საცხოვრებელი ფართობი 1.300 კვადრატულ მეტრს აღემატება. ახლახან დამთავრდა 3-სართულიანი საცხოვრებელი სახლი საირმის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

ტაბაკი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 4 მაისისათვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	4	2	1	9-3	10
„დინამო“ (მ.)	3	3	0	8-3	9
„დინამო“ (თბ.)	3	3	1	9-6	9
„ტორპედო“ (მ.)	3	2	1	6-2	8
„დინამო“ (მნ.)	2	4	1	11-7	8
„პახტაკორი“ (ტ.)	2	4	1	8-5	8
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	3	2	2	9-6	8
სკა (როსტ.)	3	2	2	6-6	8
„შახტიორი“ (დ)	3	2	2	8-10	8
ცსკა	2	2	1	5-3	6
„ზარია“ (ლ.)	2	2	1	3-2	6
„არარატი“ (ერ.)	1	4	2	3-4	6
„ტორპედო“ (ქ.)	1	4	2	3-5	6
„კრ. სოვ.“ (ყუბ.)	0	5	1	1-2	5
„ლოკომ.“ (მ.)	1	3	2	4-6	5
„კაირატი“ (ალმ.)	1	2	4	3-8	4
„ჩერნომორ.“ (ო.)	0	4	3	4-10	4
„ზენიტი“ (ლ.)	2	0	5	4-11	4
„სპარტაკი“ (მ.)	0	2	4	2-7	2

ლიდერის დამარცხება

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:0 (0:0). ლენინგრადი. 2 მაისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. მსაჯი — ი. კონოვალოვი (კიშინიოვი).

„ზენიტი“ — ბელკინი, ნეპომნიუეევი, რუდი, იზვეკოვი, დანილოვი, სადირინი, ნიკოლაევი, გუსევი (ეფიმოვი), რიაზანოვი, ბურჩალკინი, ნაუმოვი; „ბორპედო“ — კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, სიამაშვილი, ძოძუაშვილი, ზარია (ძაგანია), ჩხაიძე, ასიტაშვილი, ჭითანავა, ვეკუა, ერქომაიშვილი.

აუტსაიდერები ყოველთვის საშიში არიან. ეს ერთხელ კიდევ დამტკიცდა „ზენიტისა“ და „ტორპედოს“ გუშინწინდელ მატჩში. ლენინგრადელები მოქმედებდნენ შეუპოვრად, შემტევი სტილით, მაგრამ პირველ ტაიმში ორივე კარი აუღებელი დარჩა.

მეორე ნახევარს მეტი სიმძაფრე ანასიათებდა, მეკარეები მთელი დატვირთვით იბრძოდნენ. 59-ე და მე-60 წუთებზე მასპინძლებმა ზედიზედ მიიტანეს იერიში ტორპედოელთა კარზე, კვასხვაძემ ორჯერ მოიგერია ბურთი, მაგრამ მესამეჯერ უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეეძლო. და ნახევარმცველმა ნიკოლაევმა ერთი გოლით თავის გუნდს ორი ქულა შესძინა.

წონასწორობის აღდგენა შეიძლებოდა, საგოლო მომენტებიც იყო, მაგრამ ჩხაიძემ ორჯერ დაკარგა კარის აღების რეალური შესაძლებლობა.

ტაბაკი

„ა“ კლასის მეორე ჯგუფი

2 მაისს გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში.

თბილისში ადგილობრივი „ლოკომოტივი“ დამარცხდა კრასნოდარის „ყუბანთან“ მატჩში 0:1.

ვილნიუსში „ელგინისა“ და ტყიბულის „მეშახტის“ შეხვედრის შედეგია 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მატჩი **გომელში** ბათუმის „დინამოსა“ და ადგილობრივ „სპარტაკს“ შორის.

2 მაისის შეხვედრებიდან ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების — სსრ კავშირის ჩემპიონის კიევის „დინამოსა“ და ვერცხლის პრიზიორის — დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდების მატჩი. წარმატება ჩემპიონს ხვდა 2:0 (0:0). ანგარიში მეორე ტაიმში ბიშოვეცმა გახსნა, შემდეგ კი მცველმა კაზაჩოკმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი.

ერევნის „არარატს“ ალმა-ატის „კაირატი“ ეწვია და აქ ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა ჰქონდა ფეხბურთში. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — „ტორპედო“ და „სპარტაკი“. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 3:1. გოლების ავტორები იყვნენ ლენინი, სტარლცოვი, შჩერბაკოვი (სამივე „ტორპედოდან“) და ჰუსაინოვი.

ოთხი ბურთი იქნა გატანილი ბაქოს მატჩში „ნეფტიანიკსა“ და ტაშკენტის „პახტაკორს“ შორის. წარმატება კი არც ერთს არ ხვდა — ფრე 2:2.

მატჩი დონეცკში „შახტიორსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის დამთავრდა ფრედ 1:1.

გუშინ მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „დინამო“ და „ლოკომოტივი“. შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.

მატჩები, გოლები, ავტორები

2 მაისის შეხვედრებიდან ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების — სსრ კავშირის ჩემპიონის კიევის „დინამოსა“ და ვერცხლის პრიზიორის — დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდების მატჩი. წარმატება ჩემპიონს ხვდა 2:0 (0:0). ანგარიში მეორე ტაიმში ბიშოვეცმა გახსნა, შემდეგ კი მცველმა კაზაჩოკმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი.

ერევნის „არარატს“ ალმა-ატის „კაირატი“ ეწვია და აქ ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა ჰქონდა ფეხბურთში. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — „ტორპედო“ და „სპარტაკი“. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 3:1. გოლების ავტორები იყვნენ ლენინი, სტარლცოვი, შჩერბაკოვი (სამივე „ტორპედოდან“) და ჰუსაინოვი.

ოთხი ბურთი იქნა გატანილი ბაქოს მატჩში „ნეფტიანიკსა“ და ტაშკენტის „პახტაკორს“ შორის. წარმატება კი არც ერთს არ ხვდა — ფრე 2:2.

მატჩი დონეცკში „შახტიორსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის დამთავრდა ფრედ 1:1.

გუშინ მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „დინამო“ და „ლოკომოტივი“. შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.

„ა“ კლასის ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 4 მაისისათვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	4	2	1	9-3	10
„დინამო“ (მ.)	3	3	0	8-3	9
„დინამო“ (თბ.)	3	3	1	9-6	9
„ტორპედო“ (მ.)	3	2	1	6-2	8
„დინამო“ (მნ.)	2	4	1	11-7	8
„პახტაკორი“ (ტ.)	2	4	1	8-5	8
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	3	2	2	9-6	8
სკა (როსტ.)	3	2	2	6-6	8
„შახტიორი“ (დ)	3	2	2	8-10	8
ცსკა	2	2	1	5-3	6
„ზარია“ (ლ.)	2	2	1	3-2	6
„არარატი“ (ერ.)	1	4	2	3-4	6
„ტორპედო“ (ქ.)	1	4	2	3-5	6
„კრ. სოვ.“ (ყუბ.)	0	5	1	1-2	5
„ლოკომ.“ (მ.)	1	3	2	4-6	5
„კაირატი“ (ალმ.)	1	2	4	3-8	4
„ჩერნომორ.“ (ო.)	0	4	3	4-10	4
„ზენიტი“ (ლ.)	2	0	5	4-11	4
„სპარტაკი“ (მ.)	0	2	4	2-7	2

მოსკოვის საერთაშორისო

მოსკოვის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა მონაწილეთა სია. სტარტს აიღებს 18 მარტამაესტერი. შეჯიბრება 20 მაისს დაიწყება და ერთ თვეს გაგრძელდება.

საბჭოთა კავშირიდან გამოვლენ: მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ვ. სმისლოვი და მ. ტალი, სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. შტეინი, გროსმაისტერები ი. პეტერსი, ე. გელერი, ბ. სპასკი, დ. ბრონშტეინი, საერთაშორისო ოსტატი ა. ბიანსლისი, ოთხმაც ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ ჩემპიონატზე გროსმაისტერის ნორმა შეასრულა.

საზღვარგარეთელი გროსმაისტერებიდან მონაწილეობას მიიღებენ: მ. ულმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ლ. პორტიში, ი. ბილეკი (ორივე უნგრეთიდან), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ლ. პასმანი, მ. ფილიპი (ორივე ჩეხოსლოვაკიიდან), მ. ბოგოიევი (ბულგარეთი), მ. ნაიდორფი (არგენტინა), ფ. ბეორგიუ (რუმინეთი).

ავტომშენებელთა სანატორიუმი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივში დიდი პოპულარობით სარგებლობს ღამის სახატორიუმი, სადაც პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის საგზურებით ერთდროულად ისვენებს და მკურნალობს 50 კაცი.

დამსვენებელთა განკარგულებაშია საუკეთესო სამედიცინო კაბინეტები, სასადილო, ბიბლიოთეკა.

ისინი, ვინც წყალტუბოში მკურნალობას საჭიროებს, სპეციალური ავტობუსით გადაჰყავთ აბაზანების მისაღებად. სანატორიუმს თავისი ფილიალი აქვს კურორტ საირმეში.

მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სანატორიუმში დაისვენა და იმკურნალა 186 ავტომშენებელმა.

ახალი საფოსტო მინიატურა

მოსკოვი. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“ — ასე ეწოდება საფოსტო მარკების სერიას, რომელიც გამოსაშვებად მოამზადა სსრ კავშირის კავშირგამშულობის სამინისტრომ.

სურათზე: ახალი საფოსტო მინიატურა, მიძღვნილი საქართველოს სს რესპუბლიკისადმი.

საკ-ლესის ფოტოქრონიკა.

მეგობრობის მატარებელი

ბათუმი. (საკ. კორ.). ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავთ აჭარის თვალწარმტაცი ბუნება, თბილი ჰავა, ანკარა ზღვა, დაბურული ხეივნები, ვრცელი ყვავილნარები... ამ დღეებში „მეგობრობის მატარებლით“ ბათუმს ეწვია ჩელიაბინსკის ოლქის ოთხასი ახალგაზრდა ტურისტი. სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყო აჭარის საექსკურსიო ბიუროომ და კომკავშვირის საოლქო კომიტეტმა.

სტუმრები გაეცნენ ქალაქისა და მისი გარეუბნების ღირსშესანიშნაობებს. პიონერთა პარკის საზაფხულო თეატრში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე ბათუმის ახალგაზრდობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ჩელიაბინსკელი ახალგაზრდობა. სტუმრებმა გამოწვევა სიხარულით მიიღეს და ჩაიბარეს გამოწვევის გარდამავალი წითელი ალამი.

იფვიათი შემთხვევა

სუხუმის რაიონის სოფელ მოხვის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრის ბ. მერმანიშვილის ცხვარმა მოიგო ხუთი ბატკანი, რომლებიც ნორმალურად იზრდებიან.

ა. ანასაშვილი.

ზესტაფონიდან — ფრანკფურტში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). განთქმულია ზესტაფონური ღვინოები, რომლებიც არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ უცხოეთის მშრომელთა სუფრასაც ამშვენებს.

სამტრესტის ზესტაფონის ღვინის ქარხნის კოლექტივმა ამ დღეებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. ფრანკფურტში გაგზავნა თორმეტი ვაგონი სუფრის მაღალხარისხოვანი ღვინო.

ტელევიზია

4 მაისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასაზმარებლად — ლექცია ქიმიაში, 10.40 — ქართული მხატვრული ფილმი „მაცი ხვიტია“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ამერიკაკავკასიის მუსიკალური სკოლების მეგობრული შეხვედრები, 19.30 — „იცით თუ არა“?!, 19.45 — კინონარკვევი, 19.55 — გადაცემა „თბილისის მეოთხე სპარტაკიადა“, 20.15 — კონცერტი ჰრესის მუშაკთა დაკვეთით, 20.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.05 — ფრანგული სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ცხოველთა სამყაროში“ (ქართულ ენაზე), 22.30 — მსოფლიო დღეს (გადაცემა მოსკოვიდან).

5 მაისი

09.30 — კინონარკვევი, 09.50 — მხატვრული ფილმი „მომეცით საჩივრის წიგნი“, 17.50 — გადაცემათა პროგრამა, 17.55 — ოქტომბრელთათვის — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 18.10 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „პავლიკი“ (ქართულ ენაზე), 18.30 — ლიტერატურული გადაცემა „საიუბილეო წიგნის თარო“, 19.00 — ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, 20.00 — კინონარკვევი, 20.20 — გადაცემა „ბეჭდვითი სიტყვის დღე“, 20.50 — კინონარკვევი, 21.00 — ახალი ამბები“ (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.20 — მხატვრული ფილმი „მომეცით საჩივრის წიგნი“, 22.45 — გადაცემათა პროგრამა 6 მაისისათვის, 22.50 — ეთერშია ახალგაზრდობა — გადაცემა, მიძღვნილი ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი (გადაცემა მოსკოვიდან),

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 საათიდან, საღამოს 17 ს. 45 წ.

ჩაბ ვიცოთ, ჩაბ ეოვისეირთ

სპორტული მაისი

მაისის სპორტული კალენდარი მრავალ მიმზიდველ ასპარეზობას გვპირდება. მასში მთავარი ადგილი უჭირავს მასობრივ შეჯიბრებებს, მზადებას სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადისათვის.

მოსკოვის იპოდრომზე 9 მაისს შედგება გაზეთ „პრავდის“ მძლეოსნური კროსის ფინალი. სპარტაკიადისათვის მზადების გენერალური შემოწმება იქნება სარესპუბლიკათაშორისო შეხვედრები მძლეოსნობაში, რაც 20 და 21 მაისს გაიმართება ლენინგრადში, ბაქოში, აშხაბადსა და რიგაში.

მეორე ეშელონის შეხვედრები

შედგა რსფსრ-ის „ბ“ კლასის პირველი ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„დინამო“ (სოხუმი) — „ოროჟაი“ (მიაკოპი) 2:2, „ალაბანი“ (გურჯაანი) — „ოროჟაი“ (დარუბანდი) 0:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 0:1, „კოლხიდა“ (ფოთი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 0:1, „შეკერა“ (ქობულეთი) — „დილა“ (გორი) 1:2.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ **ბუდაპეშტში** ამოიწურა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ფარიკაობაში (ხმლით ბრძოლა). **საბჭოთა გუნდმა — ცსკა-მ მოუგო საფრანგეთის „ნიცას“ 12:4, ბულგარეთის „აკადემიკს“ 9:2, პოლონეთის „ლეგიას“ 10:6, უნგრეთის „ჰონვედს“ 9:6, ფინანსში დამარცხა უნგრეთის „ვაშაში“ 9:7 და პირველი ადგილი დაიკავა. პირად ასპარეზობაში უძლიერესი იყო მ. რაპიტა (სსრ კავშირი).**

⊙ **დორტმუნდში** დამთავრდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ხელბურთში ეიფეთ გუნდებისათვის. თასი მოიპოვა დასავლეთ გერმანიის საკლუბო გუნდმა „გუმერსბახმა“, რომელმაც ფინალში დამარცხა პრაღის „დუკლა“ 17:13 (6:7).

⊙ **სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა** ნაკრები გაემგზავრა თურქეთში სადაც 5-დან 13 მაისამდე გაიმართება უეფას XX ტურნირი — ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატი. ნაკრებში საქართველოდან შედიან რ. ჭოხონელიძე, შ. კანდელაკი (ორივე თბილისის „დინამოდან“) და ლ. ნოდია (ქუთაისის „ტორპედო“).

⊙ **პარიზის** მახლობლად ნანტერში მცურავთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა **ლეონიდ ილიჩოვი**, რომელმაც 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 1 წუთი და 57,8 წამი.

⊙ **უბრალოდ** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა მეოთხე მატჩი გამართა ჰოლანდიის ნაკრებთან და გაიმარჯვა 2:1.

რედაქტორი

დ. მეჭედლიშვილი.

ახალი საფოსტო მინიატურა

სურათზე: ახალი საფოსტო მინიატურა, მიძღვნილი საქართველოს სს რესპუბლიკისადმი.

საკ-ლესის ფოტოქრონიკა.

თბილისის № 24 ტექნიკური სასწავლებლის დირექცია

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს მაუდ-კამოლის წარმოებისათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს: 1. მექანიკოსებს, 2. მრთველებს.

სწავლების ხანგრძლივობა ერთი წელია.

სასწავლებელში მიიღებიან 17-დან 25 წლამდე ასაკის ქალიშვილები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო არასრული და სრული საშუალო სკოლა.

სასწავლებელში მიღებულ მოსწავლეებს დაენიშნებათ სტიპენდია საერთო წესით.

საშუალო დამთავრებულნი, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ ტექნიკურ სასწავლებელს, უმაღლეს სასწავლებელში მონათესავე განხრით ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

რაიონიდან ჩამოსული მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სასწავლებელში განცხადებების მიღება დაწყებულია.

**განცხადება შეტანილი უნდა იქნას სას